სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის სამსახურში მისაღებად **რექტორის 2019 წლის 23 იანვრის ბრძანება №17/01–01** საფუძველზე **ქიმიის დეპარტამენტის, ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრაზე** გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს **2019 წლის 11 თებერვლის №16/2019** დადგენილების 2 პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი N1

ქ. თბილისი **7 მარტი, 2019 წელი.**
15:00

სხდომას კომისიის 4 წევრიდან ესწრებოდა 4-ვე წევრი: 1. ბეჟან ჭანკვეტაძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე); 2. იოსებ ჩიკვაიძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. გიორგი ბეზარაშვილი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. 4. ნინო თაყაიშვილი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი (კომისიის მდივანი).

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის **ქიმიის დეპარტამენტის, ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრაზე** ასისტენტ - პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების შედეგების შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

1. კანდიდატს გასაუბრებისას დაესვა კითხვები და დადებითად შეფასდა პრეტენდენტის პროფესიული უნარ–ჩვევები, გადმოცემისა და ლოგიკური აზროვნების უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნა და სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც დაკავშირებული იყო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო–სამეცნიერო საქმიანობასთან.
   მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.
   ხმები გადანაწილდა შემდეგნაირად:
   გიორგი ჯიბუტი - გამარჯვებულად გამოცხადების მომხრე - 4 ; წინააღმდეგი - არც ერთი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის **ქიმიის დეპარტამენტის,**

ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრაზე ასისტენტ - პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულებად გამოვლინდა შემდეგი კანდიდატი:

დეპარტამენტი – ქიმია
კათედრა - ფიზიკური და ანალიზური ქიმია
გიორგი ჯიბუტი – ასისტენტ - პროფესორი

2. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ №118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა, რომ შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის თავმჯდომარე: / ბ.ჭანკვეტაძე /

კომისიის მდივანი: / ნ. თაყაიშვილი /

კომისიის წევრები: / ი. ჩიკვაიძე /

/ გ. ბეზარაშვილი /